

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომების აბსტრაქტები

2018-2019 სასწავლო წელი

**გიორგი ქათამაძე -ვირუსული ინფექციით გამოწვეული ნეიროპათიის რეაბილიტაცია
(H1N1 ვირუსი).**

ხელმძღვანელი: კასრაძე პალიკო, მედიცინის დოქტორი

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია ინფექციური დაავადებით გამოწვეული ნეიროპათიის შესახებ მისი აღმოჩენის, სტატისტიკის, დიაგნოსტიკის და კონსერვატიული მკურნალობის დროს. ნაშრომი ორიენტირებულია ინფექციური დაავადებით გამოწვეული ნეიროპათიის განვითარების მკურნალობის მეთოდების შესწავლაზე და დაავადების შემდგომ რეაბილიტაციაზე. მწვავე პერიოდში სიმპტომები მოიცავს სუნთქვის უკმარისობას, საერთო სისუსტეს, დეჰიდრატაციას, დესატურაციას და სხვას. ამ ფაქტორებმა შეიძლება გააუარესოს პაციენტის ცხოვრების ხარისხი. სიმპტომების შემთხვევაში მნიშვნელოვანია შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინება და მათი მოდიფიცირების სათანადო ჩარევების უზრუნველყოფა, რაც პაციენტის ორგანიზმის, ფუნქციური მდგომარეობის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას მოგვცემს.

კვლევის მიზანი: ვირუსული ნეიროპათიის ტეტრაპლეგიური ფორმის მქონე პაციენტების შემთხვევაში ადრეული პერიოდიდან რეგულარული და მიზანმიმართული ფიზიკური ვარჯიშებით მიღწეული (ფიზიკური თერაპიის) დადებითი ეფექტის დადგენა.

კვლევის შედეგად კონსერვატიულმა და მკურნალობის შემდგომმა რეაბილიტაციამ გამოიღო შედეგი პაციენტისთვის. მან შეძლო საზოგადოებაში სრულყოფილად დაბრუნება და აქტიური ცხოვრების გაგრძელება.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რეგულარული და სწორად შერჩეული მკურნალობა, ადრეული ჩარევა, სწორი მიდგომა და ინდივიდუალური პროგრამა გვამღებს შედეგიანობის ამაღლებას.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვის, მეთოდოლოგიის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართისაგან. ნაშრომი მოიცავს 50 ნახეჭდ გვერდს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ვირუსული ნეიროპათია.

**მარიამ გელბახიანი - მიზნობრივი ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება ცერებრული დამბლის
ჰემიპლეგიური ფორმის დროს**

ხელმძღვანელი: ელისო მურვანიძე, განათლების დოქტორი

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია ცერებრული დამბლის შესახებ, მისი აღმოჩენის, სტატისტიკის, თანმხლები გართულებების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, გამოყენებული სპეციფიკური და მიზანმიმართული ვარჯიშების შესახებ. ნაშრომში აღწერილია ფიზიკური ვარჯიშების მიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევაში შედეგის ეფექტურობა. ფიზიკური ვარჯიშების სწორი მეთოდოლოგია კი დაყრდნობილია სწორ დიაგნოზზე. სარეაბილიტაციო-აღდგენითი პროცესის სწორად წარმართვისათვის აღსანიშნავია ფიზიკური თერაპევტის როლი, რომელმაც უნდა შეძლოს ფიზიკური რეაბილიტაციის მისიის, მიზნებისა და ამოცანების სრულყოფილად პრაქტიკული გადაწყვეტა.

თემის აქტიურობა: ვინაიდან ცერებრულ დამბლას გააჩნია სხვადასხვა ფორმები, აქტუალობა იმით გამოირჩევა, რომ ფიზიკური ვარჯიშების მორგება უნდა მოხდეს ცერებრული დამბლის იმ ფორმაზე, რომელზეც ხდება მკურნალობა.

კვლევის მიზანი: წარმოადგენს ადრეული ასაკიდან რეგულარული ფიზიკური ვარჯიშებით მიღწეული (ფიზიკური თერაპიის) დადებითი ეფექტის დადგენა ცერებრული დამბლის ჰემიპლეგიის ფორმის შემთხვევებში.

დასკვნა: ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ადრეული და რეგულარული, სწორად შერჩეული ფიზიკური ვარჯიშები აუმჯობესებს ცერებრული დამბლის ჰემიპლეგიის ფორმის მქონე ბავშვთა მოტორულ უნარებსა და ფუნქციურ დამოუკიდებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვის, მეთოდოლოგიის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურისა და დანართისაგან. ნაშრომი მოიცავს 51 ნაბეჭდ გვერდს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ცერებრული, დამბლა, სპასტიკა, ფიზიკური თერაპია, ჰემიპლეგია.

თამარი ბერდელიძე - წელის თიაქრის ანატომია, მკურნალობა და მიზანმიმართული ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაცია.

ხელმძღვანელი: ელისო მურვანიძე, განათლების დოქტორი

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია წელის თიაქრის შესახებ, მისი ანატომიის, სტატისტიკის, გამომწვევი მიზეზების, სიმპტომების, თანმხლები გართულებების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, მიზანმიმართული ფიზიკური ვარჯიშებით რეაბილიტაციის შესახებ, რომლებიც ორიენტირებულია წელის თიაქრის მქონე პაციენტების დაავადების განვითარების შესწავლაზე, გვიდასტურებენ ფიზიკური თერაპიის საჭიროებას.

ფიზიკური თერაპია ეხმარება ადამიანებს, რომელთაც უჭირთ ნორმალური ცხოვრებით ფუნქციონირება და შეზღუდული აქვთ ყოველდღიური საქმიანობის შესრულება. სასურველია ამ მიმართულებით ჩატარდეს ფართო მასშტაბის კვლევები, რომლებიც ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს დაეხმარება პროფესიული საქმიანობის სწორად წარმართვასა და შედეგების გაუმჯობესებაში. საქართველოში ფართო მასშტაბის კვლევები არ ჩატარებულა, თუმცა აქტიურად დგას ფიზიკური თერაპიის საჭიროება.

თემის აქტუალობა: წელის თიაქრის მქონე პაციენტების რაოდენობის მომატებამ და ამ პაციენტებში ცხოვრების ხარისხის შეზღუდვამ, გვაფიქრებინა შეგვესწავლა სამკურნალო ფიზიკური თერაპიის საშუალებით ადეკვატური და მიზანმიმართული მკურნალობა, ასაკის, პრობლემის სიმძიმის, მკურნალობის ხანგრძლივობის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით.

თემის მიზნები და შედეგები მთლიანად მორგებულია წელის თიაქრის მქონე პაციენტებისთვის ყოველდღიური საქმიანობის შესრულების გაუმჯობესებაზე.

დასკვნაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ დროული მიზანმიმართული ფიზიკური ვარჯიშები წელის თიაქრის მქონე პაციენტებში აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და ამალღებს ადამიანის შრომისუნარიანობას. მკურნალობის სწორი და ინდივიდუალური პროგრამა მნიშვნელოვნად ამცირებს ფიზიკური პრობლემების სიმწვავეს და განაპირობებს თერაპიის შედეგიანობას.

საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვის, მეთოდოლოგიის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების და ბიბლიოგრაფიისაგან. ნაშრომი მოიცავს 52 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებულ ლიტერატურულ სიას და დანართს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: თიაქარი, ფიზიკური თერაპია, მიზანმიმართული ფიზიკური ვარჯიშები

კუჭაძე გიორგი - მხრის სახსრის დაზიანება რაგბში

ხელმძღვანელი: კასრაძე პავლე, მედიცინის აკადემიური დოქტორი.

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია მხრის სახსრის დაზიანების შესახებ, მისი აღმოჩენის, სტატისტიკის, დიაგნოსტიკის, კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის დროს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მხრის სახსრის მკურნალობის განვითარების შესწავლაზე და შემდგომ მის რეაბილიტაციაზე.

მწვავე პერიოდში სიმპტომები მოიცავს მხრის სახსრის არეში დისკომფორტის შეგრძნებასა და ტკივილს, ადგილობრივ შეშუპებას და მოძრაობის შეზღუდვას, რამაც შეიძლება გააუარესოს პაციენტის ცხოვრების ხარისხი. სიმპტომების შემთხვევაში მნიშვნელოვანია შესაძლო რისკ-ფაქტორების გათვალისწინება და მათი მოდიფიცირების სათანადო ჩარევების უზრუნველყოფა, რაც განმეორებითი ეპიზოდების თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

თემის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს რაგბში საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის სხვადასხვა ტრავმების, განსაკუთრებით მხრის სახსრის ტრავმების განვითარების პრობლემატიკის შესწავლა.

კვლევის შედეგად როგორც კონსერვატიული და ქირურგიული მკურნალობის შემდგომმა რეაბილიტაციამ გვაჩვენა, რეაბილიტაციამ გამოიღო სრული შედეგი, როგორც პაციენტისთვის ასევე რეაბილიტაციის გუნდში მომუშავე პირებისთვის. სპორტსმენი დაუბრუნდა ვარჯიშებს, ხოლო არა სპორტსმენმა კი შეძლო აქტიური ცხოვრების გაგრძელება.

ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ პროგრამა მოიცავდა რეგულარულ და სწორად შერჩეულ მეთოდებს. ადრეული ჩარევამ, სწორი მიდგომამ და რეაბილიტაციის ინდივიდუალურმა პროგრამამ გვაჩვენა გაჯანსაღების მაღალი შედეგები.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი დაბეჭდილია 56 თაბახის ფურცელზე. იგი შედგება ანოტაციის, სარჩევის, შესავლის, 3 თავისა და 12 ქვეთავისაგან, დასკვნისა და სამედიცინო ლიტერატურის მიმოხილვისაგან.

ხატია ყიფიანი - რეგულარული ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობა ინსულტის მქონე პაციენტებში.

ხელმძღვანელი: ელისო მურვანიძე, განათლების დოქტორი

ანოტაცია: ნაშრომში მოწოდებულია ინფორმაცია ინსულტის მქონე პაციენტებში რეგულარული ფიზიკური ვარჯიშების ეფექტურობის, დაავადების აღმოჩენის, სტატისტიკის, თანმხლები გართულებების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია ინსულტით დაავადებულთა ფიზიკური შემძლეობის განვითარებაზე. პირებს რომლებსაც აღნიშნებათ ფუნქციონალური გადაადგილების სირთულე, ბალანსის დარღვევა და უჭირთ გარემოში ადაპტირება ფიზიკური თერაპია ეხმარება სირთულები და სწრაფად მოახდინონ რეაბილიტაცია. სასურველია ინტერვენციის დაწყება დროულად.

აღნიშნული თემის მიმართ ჩვენი ინტერესი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ უკვე სამი წელია ვმუშაობ „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში“ ფიზიკური თერაპევტის პოზიციაზე. ამ დროის მანძილზე ინსულტ გადატანილ უამრავ პაციენტთან მქონდა შეხება და ვხედავდი, რომ მათ ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად სჭირდებოდათ რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, რომ სასურველია ამ მიმართულებით ჩატარდეს ფართო მასშტაბის კვლევები, რომლებიც ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს დაეხმარება პროფესიული საქმიანობის განვითარებასა და შედეგების გაუმჯობესებაში.

თემის მიზნები და შედეგები მთლიანად მორგებულია იმ პრობლემებზე რომლებიც გამოიკვეთა ინსულტის განვითარების შემდგომ პერიოდში.

დასკვნაში აღნიშნულია მკურნალობის სწორი და ინდივიდუალური პროგრამის მნიშვნელობა, რომელიც ამცირებს ინსულტის შემდგომ დარჩენილი ფიზიკური პრობლემების სიმწვავეს და განაპირობებს თერაპიის შედეგიანობას.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: ნაშრომი შედგება შესავლის, სამეცნიერო ლიტერატურული მიმოხილვის, მეთოდოლოგიის, შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების და ბიბლიოგრაფიისაგან. ნაშრომი მოიცავს 40 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის სიას და დანართს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინსულტი, ფიზიკური თერაპია.

ლევან ნარეშელი - კოჭ-წვივის სახსრის დაჭიმულობები და ტერფის დეფორმაციები.

ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი პავლე კასრაძე

ანოტაცია: ნაშრომში მოგიტხრობთ კოჭ-წვივის სახსრის დაჭიმულობა დაზიანებებისა და ტერფის დეფორმაციების შესახებ. თემა აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ როგორც სპორტში ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია კოჭ-წვივის სახსრის ტრავმით მიღებული გართულებები. ამას ისიც ადასტურებს, რომ საავადმყოფოების მიმღებ განყოფილებებში, როგორც საქართველოში ასევე სხვა ქვეყნებშიც ამ პრობლემით მიმართვიანობის სტატისტიკური მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. კოჭ-წვივის სახსრის დაზიანების მკურნალობა საკმაოდ საყურადღებოა, რადგან ახასიათებს მწვავე გართულებები, როგორც არის სახსრის ქრონიკული და ფუნქციური არასტაბილურობა, რაც ტრავმის განმეორებით მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

რაც შეეხება ტერფის დეფორმაციებს, არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ტერფის დეფორმაციის განვითარება მრავალი მიზეზისგან თუ მიზეზ დაუდგენელი (იდეოპათიურ) ფაქტორისგან გამომდინარეობს. აქედან გამომდინარე ამ რთული კომპლექსური დაავადების განხილვა და მკურნალობის ახლებური მიმართულებების გამოვლენა საკმაოდ აქტუალურია.

კვლევის მიზანია გამოვავლინოთ კოჭ-წვივის სახსრის დაჭიმულობებისა და ტერფის დეფორმაციების რეაბილიტაციური მკურნალობის ახალი მიდგომები, რომელიც მეტად შეუწყობს ხელს აღნიშნული პრობლემების მკურნალობის დადებითი შედეგების მიღწევას.

კვლევის ამოცანებია კოჭ-წვივისა და ტერფის აღნიშნული დაზიანებებისა თუ დეფორმაციების მკურნალობის პროცესში, მკურნალობა შეძლებისდაგვარად არ გასცდეს კონსერვატიული ანუ რეაბილიტაციური მკურნალობის მეთოდებს, ჩატარებული მკურნალობა იყოს სწორად შერჩეული და შედეგზე ორიენტირებული.

კვლევის მეთოდი ინდივიდუალური სამუშაო პრაქტიკა, თემასთან დაკავშირებული ლიტერატურებისა და სტატიების ანალიზი და განხილვა.

კვლევის შედეგები ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა რომ ადრე გამოვლენილი და კონსერვატიული მკურნალობის სწორად შერჩეულმა მიდგომებმა, შეამცირა როგორც დაავადებათა გართულება, რიგ შემთხვევაში კი დაავადება სრულად იქნა დაძლეული.